საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №6
2015 წლის 27 მარტი

ქ. თბილისი

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და 24-ე მუხლის, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, 42-ე და 43-ე მუხლების საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია ადგენს:

მუხლი 1

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილების (სსმ III, 2008 წლის 8 დეკემბერი, №175, მუხ. 1791) მე-4 მუხლში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი პუნქტის:

ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ - 0,758 თეთრი/კვტსთ.“;
ბ) „ა.ა“ და „ა.ბ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს.

2. მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის ფიქსირებული ტარიფი - სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ - 0,102 თეთრი/კვტსთ.“

3. მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-2 პუნქტით განსაზღვრული ტარიფები მოქმედებს 2015 წლის 1 აპრილიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ხოლო პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ტარიფები მოქმედებს 2014 წლის 1 სექტემბრიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე	ირინა მილორავა
კომისიის წევრი	გოჩა შონია
კომისიის წევრი	სერგო მესხი